ამფიბია

გაინტერესებს, სად გაჩნდა სიცოცხლე პირველად? ამ კითხვაზე პასუხს მოცემულ ტექსტში იპოვი.

თურმე პირველი ცოცხალი არსება წყალში გაჩნდა. ეს მოხდა 600 მილიონი წლის წინ. ერთ-ერთი ასეთი არსება იყო ხერხემლიანი ამფიბია. ამის შემდეგ 200 მილიონი წელი გავიდა. და აი, სიცოცხლე წყლიდან ხმელეთზე გადმოვიდა. აქ ჯერ მცენარე **აღმოცენდა**. მას მოჰყვა მწერი, ბოლოს – ამფიბია. სწორედ ამ უკანასკნელისგან განვითარდა ხმელეთის ბევრი ცხოველი, მათ შორის, დინოზავრიც. უფრო გვიან გაჩდნენ ფრინველები, შემდეგ – ძუძუმწოვრები.

ამფიბიებს წყალშიც შეუძლიათ ცხოვრება და ხმელეთზეც. ზოგი მათგანი კვერცხს დებს, ზოგიც ნაშიერს ცოცხლად შობს. თუმცა გასამრავლებლად ყველა წყალს იყენებს. არცერთ ამფიბიას ქერცლი არ აქვს, მათი კანი კი რბილი და **ნოტიოა.** იკვებებიან პატარა არსებებით: მწერებით, მათი მატლებით, ლოქორებითა და სხვ. ასეთია ამფიბიების საერთო ნიშნები, თუმცა მათ შორის განსხვავებაც ბევრია.

დღეს დედამიწაზე 2850 სახეობის ამფიბია არსებობს. ისინი სამ ჯგუფად იყოფა. ესენია: უფეხოები, კუდიანები და უკუდოები.

უფეხო ამფიბია ჭიას ჰგავს და სრიალებს. მისი სხეულის სიგრძე 1 მეტრს **აღწევს**. აქვს რგოლებად დაყოფილი სხეული და მგრძნობიარე საცეცები – შეხებისა და ყნოსვის ორგანო. ამ ჯგუფში შედის 70-ამდე სახეობა. ერთ-ერთი მათგანია ცეილონის გველთევზა.

კუდიან ამფიბიათა ჯგუფში 170-ამდე სახეობაა. მათ რიცხვში არიან ტრიტონი და სალამანდრა. აქვთ მოკლე ფეხები. ზოგი დაცურავს ან დახოხავს, მცირე ნაწილი კი დარბის. ამფიბია, რომელსაც ყველაზე გრძელი კუდი აქვს, 160 სმ-ია.

ბაყაყი და მწვანე გომბეშო უკუდო ამფიბიები არიან. მათ უკანა კიდურები წინა კიდურებზე ბევრად გრძელი აქვთ და ხტუნვა-ხტუნვით მოძრაობენ. უკუდო ამფიბიები სპობენ ბევრ მავნე მწერს ბაღსა თუ ბოსტანში. ამით მათ დიდი სარგებლობა მოაქვთ ადამიანისთვის.

რომელი ამფიბია გინახავს? რა გაიგე ახალი მის შესახებ?

კომპონენტი: კატეგორიზაცია, დონე: 4.1

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რას ვიგებთ ტექსტის პირველი აბზაციდან?

ა) რატომ გადმოვიდა ამფიბია წყლიდან ხმელეთზე.

ბ) რატომ გაჩნდნენ ყველაზე გვიან ძუძუმწოვრები ხმელეთზე.

გ) როდის გადმოვიდა სიცოცხლე წყლიდან ხმელეთზე.

2 ამფიბია ჰქვია იმ ცოცხალ არსებას, რომელიც:

ა) ნაშიერებს ცოცხლად შობს.

ბ) პატარა ცხოველებით იკვებება.

გ) ბინადრობს წყალშიც და ხმელეთზეც.

3 ამფიბიებს მიეკუთვნება:

ა) ბაყაყი.

ბ) ლოქორა.

გ) მწერი.

4 ამფიბიათა რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ტრიტონი?

ა) კუდიანების ჯგუფს.

ბ) უკუდოთა ჯგუფს.

გ) უფეხოთა ჯგუფს.

5 რომელი წინადადება გადმოსცემს *<u>არასწორ</u>* ინფორმაციას?

ა) უკუდო ამფიბიები ანადგურებენ მავნებელ მწერებს.

ბ) უფეხო ამფიბიების სხეული დაყოფილია რგოლებად.

გ) ყველა ამფიბია საცეცის საშუალებით შეიგრძნობს.

6 ტექსტის *<u>მთავარი</u>* მიზანია გაგვაცნოს:

ა) რა თავისებურებებით გამოირჩევა ამფიბია.

ბ) როდიდან ბინადრობს ამფიბია ხმელეთზე.

გ) რა სარგებლობა მოაქვს უკუდო ამფიბიას.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. ხმელეთზე მცენარე **<u>აღმოცენდა</u>**.

   ა) ამოვიდა. ბ) აყვავდა. გ) გამრავლდა.

2. ამფიბიას **<u>ნოტიო</u>** კანი აქვს.

   ა) თხელი. ბ) მშრალი. გ) სველი.

3. სხეულის სიგრძე 1 მ-ს **<u>აღწევს</u>**.

   ა) აჭარბებს. ბ) სცილდება. გ) უახლოვდება.

2 რომელია ზედმეტი სიტყვა?

ა) იკვებება. ბ) საზრდოობს. გ) ცოცხლობს. დ) ჭამს.

3 რომელია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმები)?

ა) მავნე – საზიანო. ბ) მცირე – ცოტა. გ) საერთო – განსხვავებული.

▶▶▶ გრამატიკა

1 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.

1. ---------- განვითარდა ბევრი ცხოველი. ***(ამფიბიისგან / ამფიბიიდან)***

2. კუდიანი ---------- გამოირჩევა სალამანდრა. ***(ამფიბიებისგან / ამფიბიებიდან)***

2 იპოვე შეცდომები და აღნიშნე X- ით.

	[X] *ცოცხლათ.*	[ ] *ცოცხლად.*
1.	[ ] ამას მოყვა.	[ ] ამას მოჰყვა.
2.	[ ] ამფიბიები არიან.	[ ] ამფიბიებია.
3.	[ ] ბევრი მწერი.	[ ] ბევრი მწერები.

გრამატიკა

3 **დაწერე ნიმუშის მიხედვით.**

ნიმუში: ის, რასაც აქვს ხერხემალი, არის ხერხემლიანი.

ის, რასაც არ აქვს ხერხემალი, არის უხერხემლო.

1. ის, რასაც კუდი აქვს, არის ----------. ის, რასაც კუდი არ აქვს, არის ----------.

2. ის, რასაც ფეხი აქვს, არის ----------. ის, რასაც ფეხი არ აქვს, არის ----------.

წერა

1 **ტექსტში ნახსენები ამფიბიებიდან შეარჩიე ერთ-ერთი ცხოველი. გაიხსენე ყველაფერი, რაც მის შესახებ იცოდი ტექსტის წაკითხვამდე და დაწერე სქემის პირველ გრაფაში. შემდეგ შეავსე მეორე გრაფა. შენს ნაწერს დაურთე ნახატიც.**

რა ვიცოდი წაკითხვამდე?	რა გავიგე ახალი?
----------	----------
----------	----------
----------	----------

2 **წარმოიდგინე, რომ ამფიბია ჰყვება თავის თავზე. შეარჩიე ერთ-ერთი ამფიბია და დაწერე მისი ნაამბობი პირველ პირში.**